


ს ა რ თ ი



საქართველოს საზოგადოებრივი და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 11

მ ა რ თ ი 12 1900 წ.

№ 11

შინაბანი: პრესა ნ. ეორდანიასი.—სხვა-და-სხვა აბაფი.—„კვილი“ ს კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—
ინგლის-ტრანსვალის ომი.—სხვათა შორის მომსწრესი.—გაყვრა გამოყვრა.—ორი აზბაფი, ნატოსი.—წერილები საფრანგეთი-
დან ლ. დ.—ზიბლიოვრადია გ.—რისი,—განცხადებები.

პ რ ე ს ა

IV

„ს ა რ თ ი“.

მესამე წერილში ჩვენ დაივანახეთ, რომ ბანკის დაარსებამ გამოიწვია „ივერიის“ დაარსება. „ივერია“ შეიქმნა ორგანოთ ბანკის და ბანკირებისა. და ეს პირველი მავალითა ჩვენ მწერლობაში, რომ რომელიმე სალიტერატურო გამოცემა დაკავშირებოდა „საქმის ხალხთა“, ფულის დაწესებულებას და აქედან მიიღო რჩევა და ბრძანება. მართალია, ევროპაში სწორია ასეთი მოვლენა, მაგრამ პატიოსანი და დამოუკიდებელი პრესა მას მუდამ ეწინააღმდეგება, ებრძვის და ეომება. სიტყვა პირდაპირი და მართალი, აზრი ჭეშმარიტი და მიუკერძოებელი, მიმართულება სწორი და მოუკიდებელი—ასეთი პრესისთვის არ დაწერილა. არ დაწერილა იმიტომ, რომ ის წინ-და-წინვე შებორკვილია, ამას იქით არ გაექანოვო, წინ-და-წინვე დატყვევებულია, ჩემ საქმეს უნდა ემსახუროვო. ის მოვლენილია კერძო მსახურებებით და მასასადამე კერძო ინტერესების გზა და ხილია. ასეთ ორგანოს ეწოდება დამოკიდებული ორგანო და ქართული პირველი დამოკიდებული ორგანოა „ივერია“.

რას შეიცავს ეს დამოკიდებულება? რა კავშირია „ივერიას“ და ბანკს შორის?

ჩვენებური სათავად-აზნაურო ბანკი ორ დღეა აზრზეა აშენებელი: ერთი მხრით, ის არის დაწესებულება ბურჟუაზიულ-ფინანსური; მეორე მხრით, თავად-აზნაურულ-წოდებრივი. პირველ შემთხვევაში ის ხატავს პრინციპს ფულის ბატონობისას, ხოლო მეორე შემთხვევაში პრინციპს წოდების განმტკიცებისას. მარა რადვანაც ეს ორი მოვლენა—ფული და წოდება—ერთმანეთს ძირიანთ ეწინააღმდეგება, ამიტომ ბანკი იძულებულია ამ წინააღმდეგობაში იტრიალოს და მით თავის-თავს ებრძოდოს. ის თავად-აზნაურობამ დააფუძნა იმიტომ, რომ ცხოვრებაში გამოიყენებ და გაემარდებო. ნამდვილათ კი ბანკი მას უფრო-და-უფრო ასუსტებს და არღვევს: ბანკის საშუალებით დამფუძნებელთ ეყოლება მამული და დატყვევებინან. აშკარაა, თავად-აზნაურობის დასუსტების იარაღი სწორეთ ის დაწესებულებაა, რომელიც დაფუძნებულია მის გასაძლიერებლათ. ასეთ უკუღმართ საძირკველზე ამოყვანილი სააზნაურო ბანკი და ეს არის იმავე დროს უკუღმართობა ბურჟუაზიული.

რაკი „ივერიას“ უნდა დაეცვა ეს ბანკი, უნდა დაეცვა ეს უკუღმართობა ბურჟუაზიული. ის უნდა შებრძოლებოდა ყველა იმათ,



რომელიც ებრძოდნენ ამ უკუღმართობას და სხვა-ნაირი ბანკის დაარსებას რჩებოდნენ. („დროების“ ჯგუფი).

მაგრამ ბანკი, როგორც ვთქვით, თავდა-აზნა-ურობის საკუთრებაა. ის იკრიბება ყოველ წელს, ბუკობს ბანკის საქმეებზე, მოგებას სხვა-და-სხვა მი-ზანს ახმარებს, ირჩევს ბანკირებს და ასე პატრო-ნობას უწევს. და აი, ამ ბანკის წოდებრივი ხასია-თიც უმთავრესად ამაში იხატება.

რაკი „ივერიას“ უნდა დაეცვა ბანკი, მას უნდა დაეცვა ეს მისი წოდებრივი ხასიათიც, მას ბანკი უნდა გამოეტანა ერთ უდიდეს საქვეყნო სა-ქმეთ და მით თვით ეს წოდება „საქვეყნო საქმის“ მეთაურთა გამოყვეანა.

მესამეთ, „ივერია“ არის ორგანო არა მარტო ბანკის, არამედ ბანკირებისაც, თ. ილია ჭავჭავაძის და კომპ. ხოლო ამით ირჩევენ ბანკის პატრონები, თავდა-აზნაურები. და, რადგანაც თავის მტერი არა-ვინ არის, ამ ბანკირებსაც თავის ადგილებზე შერ-ჩენა უნდათ, რის ერთათ ერთი საშუალებაა მკენ-ქვების მომხრობა.

რაკი „ივერიას“ უნდა დაეცვა თავისი პატრო-ნები, ბანკირებიც ცხადია, ის უნდა შედგომოდა თავდა-აზნაურების გულის მოგებას, მათ დაეყავე-ბას, ქება-დიდებას, რომ მით არჩენის დროს თ. ილია ჭავჭავაძეს თავისი ვაეტანა.

ამ გვართ, „ივერიის“ ბანკთან დაკავშირება ნიშნავს: 1, უარისყოფას კრიტიკის ბუტყუაზიუ-ლი უკუღმართობისა; 2, უარისყოფას კრიტიკის წოდებრივი უფროსობისა და 3, უარისყოფას კრი-ტიკის კერძო პირთა მოღვაწეობისა. პირველი შეი-ცავს მოძღვრებას ეკონომიურს, მეორე მოძღვრებას პოლიტიკურს და მესამე მოძღვრებას ზნეობრივს. ეს არის ის სამი მხარე, რომლითაც „ივერია“ გან-სხვავდება „დროებისაგან“ და რომელმაც იმას წინ-დაწინებუ ხელ-ფეხი შეუტრა. ამ პროგრამას ვერ გა-დაუვადებია ის ისე, რომ არ უარპყოს თავისი მო-მავლინებელი და ამით თავისი თავიც. აი ამას ეწო-დება დამოკიდებული ორგანო.

ახლა გავყვეთ „ივერიის“ მოღვაწეობას და ვნახათ თავის პროგრამას როგორ ახორციელებს. ეს თავის თავთა ცხადია, რომ ამ პროგრამის თი-თოეული მიზლის გამოჩვენება დრო და გარემოე-ბაზე და მოკიდებული: ხან ერთს ექვეყნო მტეი ყუ-რალდება, ხან მეორეს, ხან მესამეს და ხან ყველას ერთათ.

„ივერიის“ პირველი ნომერი (1877 წ.)¹⁾

იწყება „წინასიტყვაობით“, რომელიც გვამცნებს რედაქციის გულის-პასუხებს. ეს, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, ერთი უშველებელი დაპი-რებაა, ამას ვიზამ, იმას ვიზამო და რასაც თვით საქმე გამოაჩენს. პირველ ყოვლისა ავტორი მიეო-რებს იმას, რაც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერშია გამოთქმული მეცნიერების და ცხოვრების შესახებ.

„საშენიერო ცნობათა კამოტანს და გურგულეპს სსოზგადეობაში, ჩვენის და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირეუბა და განმარტება—ა რაში მდგომარეობს ჩვენის კაზეთის ზნეობაში.“ ამას შემდეგ უმატებს მოსა-ზრებებს ლიტერატურულ ზნეობის შესახებ, რაიცა ვითომ დაარღვეულ იყოს ვინმეს მიერ:

„რადგანც ჟურნალ-კაზეთობა ადამიანის ყოფა-ცხო-ვრებაში უნდა მოქმედობდეს და ამ ყოფა-ცხოვრების სა-კეთილად იღწოდეს, ამის გამო ადამიანი ცალკე, რო-გორც კერძო პირი, და ერთად, როგორც სსოზგადეობა, ხელშეუხებლად ვერ გადაურჩება კაზეთს. იმ კაზეთს თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თვისი დირსუბის ცნობა, თე-ისი ზატევის ცემს და თვისი კეთილშობილური თავმოწონება, იგი იმავე დირსუბთა, იმავე ზატევის ცემით უნდა მოქმედს უოველს კერძო პირს და უოველს სსოზგადეობას. ეგ ზა-ტევისცემს კერძო პირის და სსოზგადეობის დად-კან-ხანდ უნდა ჰქონდეს ეველას რეიან და მართუელს ჟურ-ნალს თუ კაზეთს. სოფო ზატევისცემს ამაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს ქედვადეს პირმოამთეთ. ეგ ადამიანის ზატევის ცემს კი არა, ეგ ადამიანის შეურაცხყოფა იქნება. ცუდია, თავის მიე-ნიერების შემსენებელია, ადამიანის მოღაატეა ის ქებაში, რომელიც სსუელს უეპარს წამალს არ ასმეებს მარტო ამის გამო, რომ მწარეთა. არა, ჰქმნარტიცა ზატევის ცემს ის არის, რომ პირში ადამიანში ადამიანს კუდ ხედილად მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას რომ არ შეუ-რთხოს, არ შეურახეჭქოს მისი ადამიანობა, მისი კლო-ბრული გრძობა, დირსუბ და ზატევი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობათა კანონი, რომელიც კაცს კაცად ქმნის და რომლის მიუხეობათაც თავის თავს კაცად სცნობს და აღიარებს...“

ძნელი გამოსაცნობია რა უნდა ეთქვა ამით ავტორს. ადამიანს არ უნდა შეავინო, ის არ უნდა შეურაცხყოფილ და განა ეს ყველა რედაქციისთვის თავისთავით საგულისხმო არა უნდა იყოს? ამასაც ლაპარაკი უნდა? ვინ არის ამის წინააღმდეგი, თუ არ ისევ „ივერია“²⁾. ახალმა ორგანომ უნდა გვი-თხრას ის, რითაც ის სხვებისაგან განსხვავდება და

¹⁾ უნდა შევინწნოთ, რომ არსად იმდენი უშვერი ლან-ძლე არ იბეჭდება, რამდენიც „ივერიაში“, მაგალითი შორს არ არის, აიღეთ თუ ვინდ გასული კვირის ნომერი.

¹⁾ კვირაში გამოდიოდა ერთხელ; 1879 წ. გადაკეთდა თეოფრ ქურანალი, ხოლო 1886 წ. ყოველ-დღიურ გახეთათ.

მის საკუთარ თვისებებს შეადგენს და არა ის, რაც ყველა ორგანოს ეკუთვნის და ახასიათებს. ასეთი თავის თავის დამახასიათებელი თ. ი. ქავჭავაძემ ჩვენ უკვე გვითხრა „საქართველოს მოამბეში“. აი მისი სიტყვები:

„ქართველან უსიყვარულასაში ნუ ჩამოგვართმევს, როცა ჩვენს ქურხადი შკაფითა, საქვეწოთა გამოსთქვამს რაც ქართველში ცული და საზიზღარია. საქართველოში თუ სადმე ორს და სამს უუყარს ქართველი, ჩვენც იმაში უყანასწელი არა ვართ. ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვეყვარს მხოლოდ სიკეთე, სიტყუე კი თუ ელვან საზიზღარია, ქართველი აქება მის შექონე თუ ინტელექუა, სულ ერთია ჩვენთვის, ორავ წუადში გადასაყრნი აქებანს. ბევრნი არან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც გდადგან ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამაღწევა, კვ იმათ მოსდით ქართველებას უმეცარის სიყვარულს გამო. ისინი, უმეცარნი მოცვარენი ჩვენნი, ზედა დასწემ ხოლმე შენევენის და განდგენის ბუქედსა მის ვინც კი უუღარ მოათმეოს ცხოვრების საძაგულ გუბეში დგომას, ამოყოფს თავს, რომ სხვას მანც უთხრას, გუბეში არ ჩაჯდოთ თუი თორემ დაღლები მის წარწყმედელ ომშივარის ზედმოქმედებისაგანაო.“ (№ 1)

აი ასე ფიქრობდა თ. ი. ქავჭავაძე 1863 წ. და თუმცა ეს დაბრუნდა მისმა ქურხანობა ვერ გაამართლა, მაგრამ ისიც კარგია, რომ ასეთი პროგრამა ჰქონდა შემუშავებული. ხოლო 1877 წ. ყველა ამას უკუაგდებს და სულ სხვა რამეს გვეუბნება.

ახლა ის იმაზე გვემუხაფება, თუ როგორ მოვარდილოთ თავი შეერისხვას და გადაკიდებასო. ძნელი წარმოსადგენია ისეთი თვალთმაქცობა, რომ ქურხანლისტმა „მწარე“ სიტყვა უთხრას ვისმე და ეს მის არ ეწყვიროს და თავის თეი შეურაცხყოფილით არ ჩათვლოს, და ეს განსაკუთრებით ჩვენში, სადაც „ღვთის-წყალობასაც“ კი ეგვის თვლით უტკერიან. ორში ერთი თუ რამე თქვი, ვისმე უთუოთ ვაჯჯავებ, თუ არა თქვი და ვერც ვაჯჯავებ. ამ ვარემოებამ „ივერია“ თავიდანვე გასაქირში ჩაადგო. თუ საშინაო კითხვები აღძრა, უთუოთ რადაც უნდა თქვას და ამით ბევრი გადაიმტეროს, თუ არა და რაზე წეროს. და აი, საბედნიეროთ ატყდა რუს-ოსმალის ომი და გაზეთსაც მასლა მიეცა. 43 ნომერში (პირველ წელს მეტი არ გამოსულა) მოწინავე წერილია 21, ამათ შორის მხოლოდ ექვსია საშინაო კითხვებზე, როგორც მაგ.: „სამურენია საზოგადოების შესახებ“ (№ 2); ჩვენი ქალაქის ჯანმრთელობის შესახებ“ (№ 4) და სხვა ასეთ „უწყინარ“ კითხვებზე. გაზეთის დანარჩენი

აღვლი იცემა საგარეო ამბებით და კორესპონდენტებით. კორესპონდენტიაში უმთავრესად უყრევან ჩარჩებს და სოფლის მოხელეთ, წინააღმდეგ „დროების“ კორესპონდენტებისა, სადაც განსაკუთრებით ყურადღება მებატონეების და გლეხების დამოკიდებულებისაკენ იყო მიპყრობილი. 1878 წ. „ივერის“ კიდევ უფრო გაუქირდა. ომი მოისპო და მასალა რამოდენიმე შესუსტდა. მთელ წელიწადს (47 ნომერი) მოწინავე წერილია მხოლოდ ექვს ნომერში და ესენიც ასეთ საგნებზე: „ქალაქის ჯანმრთელობაზე“ (№ 13), „სელეჩი ნაწალიცებზე“ (№ 16), „კიდევ კონფერენცია“ და სხ. 4)

აი ასე სამავალითოთ ასრულეს „ივერია“ თავის პროგრამის მესამე მუხლს, არაიწ არ მოვიმდლოთო. და რადგანაც არავისი მომდურება არ სურს, ამიტომ ვეღარც წერას ახერხებს. ამას გრძნობს თითონვე და კიდევაც არკვეს სამს მიზეზებს. ეს მიზეზი ყოფილა, მისი სიტყვით, აწინააღმდეგობა: პირველი ის, რომ შინაურ მიმოხილვას საკუთარი აზრი და სჯა უნდა ჰქონდეს, რაც ასე იშვიათია ჩვენშიო. გარდა ამისა

„შეარე დაბრკლება აი რაშა: საგანი არ არის გატრემო, რომ შვერდამს მასზედა შეაწეროს თავის ცარების თუჯა და შეითხველას უურადგება. თუნდ რომ ათასში ერთი მოამბეობაქვს კიდევ, თქმა ძნელია... ამის გამო ბევრათ შესაწინააღმდეგება და შესახლობა სიდარბე ჩვენებურის შვერდობისა და ნამეტნათ ჩვენებურის პუბლიცისტიკისა. რა ვქნათ საფანელი არ არის ჩვენს ცხოვრებაში და ამის გამო არც აზრის შედგება...“ (1877 წ. № 8 „შინაური მიმოხილვა“ გვ. 213).

ერთი სიტყვით სალაპარაკო მასალა არ არის და ნურას უკაცრავათა — საქვეყნოთ აღიარებს „ივერისს“ მეთაურო. აი, ქურხანლისტიც ამას ჰქვია! მარა ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ „დროების“ მულამ აქვს „სალაპარაკო მასალა“, იქ იშვიათია ისეთი ნომერი, რომ მოწინავე წერილი არ იყოს და თუ მინც-და-მინც „ივერია“ ვერ პოულობს წერის საგანს — ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრების სიღარიბე კი არა, არამედ სულ სხვა რაღაცა უნდა

4) საწინააღმდეგოთ აქ მოვიყვანე შინაარსი იმ წლის ზოგი ნომრებისა: № 24-ში 11 სვეტია კორესპონდენტები, 6 სვეტი საპოლიტიკო მიმოხილვა, 2 — რუსეთი და 14 — მგზავრის შენიშვნები; № 32-ში: „დროების“ გადმომეტყველი პატარა წერილი ქართველ მაჰმადიანისა, 13 სვეტი მოკლე შენიშვნები სახლგარე-გარეთიდან, 3 — საპოლიტიკო მიმოხილვა და რუსეთი, 8 — სასაზღვრის საშფოო სახლი საპრეტო...“ და 6 სვეტი „რამეთუ კაცი ვარ“ მოთხრობა (თარგმანი); № 40-ში: 3 სვეტი კორესპონდენტები, 3 — საპოლიტიკო მიმოხილვა, 11 — „წმინდა ნინო“ და 9 სვეტი „რამეთუ კაცი ვარ“ და სხ.

3) ეს გაამართლა რამოდენიმე „დროებაში“.

იყოს. და ეს „არაღა“ ვახლავს ის, რომ „ივერისი“ მეთაური ბანკის მეთაურიც არის, რომლისთვის ასე საკიროსა ყველასი მიმანდღირებდა და მომხრობდა... ვინასაკუთრებით მან გუნდრუჯი უნდა უკმომის ბანკის პატრონთ—თავად - აზნაურობას. ამ საგანზე თ. ი. ჭავჭავაძე მხოლოთ ერთ სტატიაში ლაპარაკობს პირდაპირ და გადაჭრით. ეს სტატიაა ცნობილი „ცხოვრება და კანონი“, რომლის შესახებ ამდენი ცრუ-მორწმუნეობა გავრცელებული ჩვენ ინტელიგენციაში და რასაც ასე ნაკლებათ იცნობენ. ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენი აზრით ის უნდა იყოს, რომ ავტორმა ერთობ გააჰიანურა ამ წერილების ბეჭდვა, ვაგარძენლა რამდენიმე წელიწადს და მკითხველსაც მისი თვალ-ყურის დევნება აღარ შეეძლო.⁵⁾ ამ წერილების თანახმად, შორის ჩვენ რამელიც შეხვედრულია ავტორის მიანდღირების პრაქტიკიდან აღებულად, ვიკრებებით, (თ. ი. ჭავჭავაძე, როგორც ვიცით დიდხანს იყო მომრიგებელ მოსაშუალოთ) ცალ-ცალკე აღებული საგულისხმოა, მარა ყველა ეს ისეთ თეორეტიულ საძირკველზეა აშენებული, რომ მიუღი სტატია თავისთავათ იშლება ბ მნიშვნელობა ეკარგება. ამ თეორიულ მომარბებებს შორის ჩვენ აქ მოვიყვანო ერთს, რომელიც შეეხება წოდებრივ ურთიერთობას. თ. ილია ჭავჭავაძის აზრით სოფლის სამმართველო უნდა ყოფილიყო ყველა წოდების დაწესებულება და არა მხოლოთ ერთის — გლეხობის. წოდებათა ასეთ შერთებას და დაახლოვებას ვერ დააბრკოლებს წოდებრივი მიუკარგებლობა და სიყოყმანე, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ჩვენში და არც არის. და შემდეგ ასე განაგრძობს:

„ჴერ დავიწყეთ იქიდან რომ ჩვენს ენაში სიტყვეს არ მოიხიოვება ამ აზრის გამოსახატავით, რასაც რუსული სიტყვა **сословие** ნიშნავს. ესხანდელი ჩვენს სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვა, ესღა შემოგვჭეს ვანანრობით და ისიც ვინ იცის ვარჯა სანხარათ თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეკ სიტყვა, ან შავის მზგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობათა, ძველს კანონებზედ და წორლებზედ არსად არ შეუხედრავართ. ეს იქნება ამის მიხეცითაც იუთს, რომ ჩვენს ძველს ცნორებაში დას-დასად დავთოვ კრობისა არ არსებობდა, არ არსებობდა ამ შორით, რომ ერთს წოდებას რამე წარმომამდღენველობა ჰქონდა უპირატესობათ ჭვეყნის საქმეთა გამეგობაში და მეორეს არა, და ერთს ამით ენაგრა მეორე. ჩვენში ვეღანს ერთხანად უხშიხი და

უფლებას მივალეუდნს ივენეს წინაშე უმადღესის მთავრობისა. თუ რამე მავალბეთაა ჩვენს ისტორიულ წინაშე ხელმწიფების კრება მოუხდენათ და მოუყვანათ სამღელელოსა და დიდკაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაუფრებთის უფლებას ეი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თეთა-ხელმწიფისას, რომელიც თავის სურვილისამებრ თუნდა მოიწყვედა და თუნდა არა. ამის ცამო ამ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლებას დასაპურობათ, განსაგრებათ, რომელიც კერძაში იყო და ესხანდ არ გათავებულა და რომელიც უპირველესი მიხეცია იყო ერთს წოდებას და დავითისა, ჩვენში ადგილი არს ჰქონია. ჩვენ ამით იმის თქმა ეი არ კვინდა, რომ ჩვენს ცნორებაში სრულად არ ყოფილა უღმკენები, რომელთა შიძინაობა და განთავარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქამდე მიუყვანდა თუ დასცლავებდა. ჩვენს იმის ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებათ დაყოფა ერთსა არ იქნებოდა, არ იყო წყობა-წყობად განცალკევების მიხეცევი ჩვენს მთხაში, რომელიც თუ თავის ცნორებაში უხუტეშობას რამეს გძინებდა, სავითოდ გძინობდა, რადგანც ვეღანს, როგორც ზუგითა ვსთქვით, ერთხანად იყენენ უფლებას მოკლებულნი, ერთხანათ უხშიხი და უღუგენი ჭვეყნის საქმეთა გამეგობაში. თუ კერძაში მიუხეცავთ, იქაც სხვა ამბავი იყო.“

აქ ანუსხავს ალორძინებას მოძრავ-ქონებისა და მასთან ერთათ ბურჟუაზიისას, რომელმაც მოახდინა რევოლიუცია, მაგრამ ეს დარჩა მის სასარგებლოთ. ახლა მას ებრძვის მეოთხე წოდება, პროლეტარიატო.

„ჩვენში რა არის ამა შავის მხეცევისა? ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალეებად იხსენიებოდა და გლეხი ეი არა...“

მართალია აქა-იქ ჩვენშიც არის წოდებათა შორის განხეთქილება, მაგრამ „დიდი შედგომა იქნება ამისი მიხეცია თვითონ წოდებათა წოდებას, მის შიხანის ასრებას, თვისებას, ზესს და წვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას მიუყურეთ. ამის მიხეცია იგივეა, რაც თეთიუქლ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვლი, გველი ხელი და ნამუსის ქულის ახლა.“ (.,იგ.“ 1879 წ. № 3, გვ. 109—113).

აი რას წერს თ. ილია ჭავჭავაძე მაშინ, როცა ის იყო ხალხი პატრონ-ყმობისაგან განთავისუფლდა დაახლათ ცხოვრება იწყო! აი რანაირი იდეოლოგიით უყურებს იმ წყობილებას, რომლის შესახებ რამდენისამე წლის წინეთ თითონ „ხალხთ ბორკილს“ უწოდებდა! სხვა არა იყოს რა, აღბუღს და ვახტანგ მეფის კანონები გადაეკითხა და იქიდან გაიგებდა, თუ რანაირათ იყო დაყოფილი ქართველი ერი და როგორ ფასობდა გლეხის, აზნაურის და

⁵⁾ ამ წერილების ბეჭდვა ავტორმა დაიწყო 1877 წ. პირველივე ნომრიდან, მეექვსე ნომრში შეწყვიტა და გაგრძელება დაბეჭდა მხოლოთ 1879 წ., ე. ი. წელიწადნახევარს მერე! გათავებით ეი როგორც იყო 1881 წ. გათავა.



თავადის სისხლი. გლეხს და ფეოდალს ერთნაირი უფლება ჰქონდა! და ეს როდის? სწორეთ მაშინ როდესაც ფეოდალები მეფეთაჲს კი ტახტიდან აგდებდენ! ამ ფეოდალთა თავაშეგებულებამ დააქცია საქართველო და ახლა მათ მფარველობას უწევენ, ვანსხავება მათ და გლეხებს შორის მხოლოდ „მოკითხვის წიგნი“ იყო! ამის პასუხს თ.ი. ქუჭავაძეს თ. ი. ქუჭავაძის „კაცო ყაზი“ მოახსენებდა...

და ვინა ყველა ეს თ. ი. ქუჭავაძემ არ იცის? რასაკვირველია იცის—და თუ მიიღვ ასე წერს—ეს იმიტომ, რომ სხვანაირთ წერა არ შეეძლო, არ შეეძლო როგორც ბანკირს, თავადაზნაურობის არჩეულს და მასზე დამოკიდებულს. ეს არის ის საერთო სათავე, რომლიდანაც მომდინარეობს მთელი მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა და ეს მოღვაწეობა იქ პოპულარობს თავის ახსნას და გარკვევას.

ასეთ უზინაარსო გამოცემას, რასაკვირველია, თავის დაჭერა უნდა გაჭირვებოდა და ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა კიდევ საზოგადოება ახალი, პროგრესული აზრებით იყო გატაცებული. იღ. ქუჭავაძეს ან უნდა მოეხიო თავისი ორგანო და ან რაიმე ღონე ეღონა. მის დარჩა ერთთ ერთი საშუალება—შეერთებოდა სხვა უფრო ლონიერ რედაქციას და მით „ივერია“ დაეცემისაგან დაეხსნა. რომელი რედაქცია უნდა ყოფილიყო ეს? ასეთი იყო მხოლოდ ერთი—„დროება“. და აი თ. ქუჭავაძე ხელმეორეთ უახლოვდება „დროებას“ და ცდილობს მის მიმხრობას.

ამ მის მეკადინეობას ხელი შეუწყობა ახალმა გარემომებამ, რაიცა მდგომარეობს შემდეგში: რუს-ოხმადლოს ომის დროს ნ. ნიკოლაძე ტოვებს „დროებას“, თფილისს და მიემგზავრება ომის ველზე. მამასადამე ბანკირების სურვილი—ნ. ნიკოლაძე გამოეფდეთ „დროების“ რედაქციიდან—თავის თავით შესრულდა. „დროებაში“ ისპობა ბასის ბანკების შესახებ და ამით ერთი ზღუდე, „დროება“-„ივერიას“ შორის ამართული, მოიშალა. 1878 წ. ნიკოლაძე აარსებს რუსულ გაზეთს „Однородность“-ს და ქართულ მწერლობას ცილდება. რუსულათ დაიწყო მან წერა ქართულ საქმეებზედაც და ხშირათ ამბობდა იმას, რაც გარემოთა წინაშე სათქმელი არ იყო. მაგ. მან უსაყვედურა ქართულ და სომხურ მწერლობას, მკითხველთ ვერ აქმაყოფილებსო. ეს რომ ქართულათ ეთქვა, რასაკვირველია, უყურადღებოთ ჩაიფილიდა, მარა რაჲს ეს „Однородность“-ში დაიბეჭდა, დიდი პოლიემია გამოიწვია ქართულ პრესაში. ს. მესხმა გილაშქრა ნიკოლაძის წინააღმდეგ („დროება“ № 37), მას მიჰყვა „ივერიაც“. ამ პოლიემიკამ ნიკოლაძე უფრო დააშორა „დროებას“ და სერგეი მესხი დაახლოვა

„ივერიას“. 1879 წ. ეგ დაახლოვება კიდევ უფრო ძლიერდება. გ. წერეთელი დაბრუნდა თფილისში და „დროებაში“ რამდენიმე წერილი მოაოავსა ბანკის შესახებ.“ აქ ის ნ. ნიკოლაძეს უწონებდა ქუთაისის ბანკის წესდების კრიტიკას და უწუნებდა მხოლოდ იმას, რომ სამაგეირო ვერ გვირეენაო. ნიკოლაძეს გამოუსარჩლა თ. ნ. დლიანი (№ 91—94) და ასე ხელახლა გაიმართა ბასის ბანკის შესახებ. ამ დღეში არ ერევა ი. ქუჭავაძე. და მე-237 ნომერში კიდევაც დაიბეჭდა ს. მესხის მოწინავე წერილი „დროებისა“ და „ივერიის“ შვერთებაზე, რომლითაც აეტორ, საზოგადოებას აუწყებს, რომ მომავალი წლიდან ორივე ორგანოს საერთო რედაქცია ეყოლებოა. აი რას წერს აეტორი:

„დღეის შემდეგ ჩვენ უფრო აფილათი შევიდებით ორივე გამოცემის უფთ წაყუანას და წარმატების, რადგან ამ შეერთებით გვემატება როგორც ლატერატურული ძალ-ღონე, აგრეთვე მატერიალური საშუალება.

„სხვგანდათე მოვალანარკება გვეხიდა ჩვენ სანამ ამ შეერთებაზე დაეთანხმდებოდით; ბევრი აყწონთ, ავიდეთ, დავოლეთ, განსყაუთ და ზოლოს გაგაფრეოტო, რომ შეერთება ჩვეთაის ღონე და სარკებლბას იქნება და ცალ-ცალკე მოვალანარკება არც თეთონს ვერ მოგვცემს ხელს და არც საზოგადოებას დააყუთოფილებს ჟურნალს“. ჩვენ შორის არ არის მამართულებს ისეთი „შესაძნევე“ განსხვავება, რომ ერთათ სიარულად არ შეაკვედლოს და სხ.

ამ შეერთების განცხადებაში კვითხულობთ; „გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ-დღე, როგორც ჰამდე; მხოლოდ თონმატი უფრო დიდა ექნება. უფრნალი „ივერია“ კი გამოვა სამ თვეში ერთხელ სიფრცით თონმეტ თანამდე. გაზეთის შესაფერ სტატეის შესახებ შინაური მიმთხილვას და ზოლიტეის მარტოს „დროებაში“ მიეცემა ადგილი. ხოლო უფრო ვრცელს სტატეისს რომელსაჲს განსაკუთრებულს სკანსზე, ზოლიტეისს და შინაური საქმეების შესახებ, ექნება ადგილი უფრნად „ივერიაში. ამის გამო მომავალის წლიდან „ივერია“ უფრო ამ გვარ წიანებს დანებვაეცება, რომელსაჲს რუსეთს „სბორნიკს“ ექსიანს, ვიდრე დროგამოშვების გამოცემას. განსაკუთრებულ უფრნადებას რედაქციას იქნება მიეჭეუბა იმსხელ, რომ „ივერია“ ადიოლი სკიოთხეი, კარგი გასართობი და თან სსსარკებდო წიანხე ივეს და ამისთაჲს უფრო ვრცელი ადგილი ეჭირება რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, როგორც

„) ამავე წელს გ წერეთელმა „დროებაში“ (№ 13—15) მოაოავსა დიდათ საყურადღებო წერილები ამიერ-კავკასიის ხალხთა დამოკიდებულების შესახებ. ვინაც სურს გაგოს მისი აზრი სომხ-ქართველებზე, იმან უფოთ ეს წერილები უნდა წაიკითხოს. აქ არის გ. წერეთლის პროგრამა...

საქართველო

თარგმნალებს, ისე ზირდაზირ ჩვენს ენაზე დაწერილებს, აგრეთვე ძველს ჩვენს ენაზე დაწერილებს და აგრეთვე ძველ ჩვენს მოთხრობებსაც, რომელნიც ამ სხიით დაბეჭდვიან, რომ შერე ცალ-ცალკე წიგნათ შეკავრებულადგეს“ („ოვ.“ № 9. აგრეთვე „დროებაში“).

ამნიართი, 1880 წ. მიხლამ ამ ორი ორგანოს „ქორაწინება“, როგორც ეს „ობზორმა“ უწოდებდა „ქორაწინების“ ნაყოფს შემდეგ წერილში დავინახათ.

ბ. ჟორდანიანი

სხვა-და-სხვა ამბები

შემაღლესი მთავრობის ბრძანებით ქუთაისში უკვე ჩამოვიდა პეტერბურგიდან სამი რევიზორი, რომელთაც მინდობილი აქვთ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის რევიზია.

ამ წლის პირველ აპრილიდან შემოღებულ იქნება ახალი ტარიფი საავიარაკო მატარებლებზე. აქამდის სახალხო მატარებლის მე-მ-კლასით მიმოსვლისათვის 1 ვერსტზე ახდევინებდნენ 1 კაპ. პირველი აპრილიდან გადახდება 0,9 კაპ.; სრულიად მოსპობილია საამონიერტო და იქით-აქეთი წასვლა-წამოსვლის ბილეთები. სამივე კლასის ბილეთები მიეცემა წლობით, ერთი სეზონით (4 თვით) და თვეობით (ერთის თვით). წლიური და სასეზონო ბილეთები მიეცემა მსუბუქელთ ისე, რომ ეს ბილეთები მყიდველთა ფორტაგრაფიულ სურათებზე იჭრება დაკრული სახეიდან და გვირის ზეწარწერით, რომ პატრონებს არ შეეძლოთ სხვის გადასცენ ბილეთები.

სახალხო განათლების სამინისტროს განუმატავს, რომ სასწავლო ოლქის უფროსებს შეუძლიათ ნება დართონ საკვირაო სკოლების დარსებაზე ყურძა სასწავლებლებთან, იმ პირობით კი, რომ ასეთ საკვირაო სკოლას თვალყურით მთავრობის სასწავლებლის უფროსებმა უნდა ადევნონ.

როგორც ოფიციალურ ცნობებიდან ჩანს, წარსულ 1899 წ. 1 იანვრამდე ამიერ კავკასიაში გათვლილნი იყვნენ სულ 8,570,827 დესეტინა მიწა, ასე რომ ერევნისა და შავი ზღვის პირის გუბერნიებში მიწების გამოიჯნა ამ შვით უკვე დაუსრულეზიათ. ვასამიჯნავთ დარწმინდა თფილისის, ქუთაისის და ბაქოს გუბერნიებში სულ 88,000 დესეტინა მიწა.

„Съверный Курьер“-ის მე-119 ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი პ. გ. -შვილისა ამ სათაურით: „Армяно-Грузинская распря“ — „სომეხ-ქართველთა განხეთქილება“.

ქ. ბაქოში 1900 წლის იანვრის თვის მანძილზე მოხდა ამოღულიათ სულ 43,124,807 ფუთი ნავთი; პირველ თებერვლისათვის საწყობებში ყოვილა სულ 8,595,615 ფუთი ნავთი.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი გამოცემული წიგნი: 1. „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი მესამე და უკანასკნელი. გამოცემული ზ. ჭიქინაძისაგან. წიგნი ლირს 40 კ. 2. „О закаливанні челоѳического организма“, სახალხო ლექციები წაკითხული პრაფ. ჯანნიშვილის მიერ პეტერბურგში, და მ. ქ. თავართქილაძისაგან შედგენილი და შორეთ გამოცემული ამ წლის „საყოველთაო კალენდარი“, რომელშიაც სხვათა შორის ახლებებს: „მომავალში არ დაგვზავთ ხარჯს, რომ „საყოველთაო კალენდარი“ მისი დანიშნულების სრული დამკამყოფილემელი იყოს. ამასთანავე ცხარდებით გონორართ ჩვენი კალენდრის ყოველ სტრიქონში 5 კაპ. ვინც უკეთეს მოთხრობას და წერილებს წარმოგიდგენს ჩვენი ცხოვრებიდან პირველ მიხამდე, ხოლო ლექსების სტრიქონში—10 კაპ.“.

„ველის“ კორესპონდენციები

ზორა. ადარ დარჩა ადარც ერთი ქალაქი, დაბა სოფელი დასვლეთ საქართველოში, რომ არ იყოს გახსნადა წიგნთ-საცემ-სამკითხველოები, არ მართავენ რაიმე საქველ-მოქმედ მიზნით სლავოტარტურო სვდა, მოეს, წარმოდგენებს და სხ... ამით მითვლემდე ერთვულ გრძნობას ნელ-ნელა ადვიტებენ, ძვეენის ვარაში და მის გულის ზასუს წვეთ-წვეთათ უშებებ გულში; მაგრამ ჩვენ უდნაურ ქ. გორში რამენი თვეები და წლები მიქჭინს, რომ რაიმე საქველმოქმედ მიზნით გამართულ სლავოტეს და წარმოდგენებს მოკლებულია ხალხი. გორში ჟერ არ გამაჩნელა ერთი პატრონიანი პირი, რომელსაც უხელმძღვანელა ერთი ამ ზემოთ მოკვინილი აზრით და ღრმით მიძინებული სასოცადობა გამკლებულხეიბს. გორი დაყოველდას ვეკლასიან. იგი ჩამორჩენილას ვეკლ ქალაქებს და ადამიანის მუზე ზრუნვა დაიბ ხნის განსვენებულა წადლს შინა ანარამისს; თვით პურ ინტელექტისსაც ჟერ არ შეუძგევაა ზურგი იმ უცხო ტადლათ დეღვისთეთის, რომელსაც სომოზლო მსხრეს დაიბ ხნის გარემო შემოურბიანს და ყოველი კერა ცხოვრების მსწრთელ ჩაჭრო.

საკვირეკლად, მცნრამეტე სუკუემ იშვიათათ წარმოშობას ისეთი შუალი, რომელსაც თაყის დღეკანდელი ზირვარამით სოკე აწმუო არ ესმოდას, და ქ. გორის ინტელექტისსაც ამ მხრით ნეტა რა დამართა? ნუ თუ მათ ჟერ არ უგრძნობათ ვარაში ძვეენის? ნუ თუ ეს ინტელექტისს, ცხოვრებაზე უზრუნველი, ჟერ ისეც გრძნობით სოკე ტადლემში დაეღაივებს? და ოგნებით გატრეპულია, ზარეოსანი მიზნის განხორციელებას შორს,

ძღვან შორს ტურნინს? სუ თუ ძნელია ამ ინტელიგენციისათვის, რომ მოჭკობის ფული, ან გამართის სელიტრატურა სადამო, ან დაღას რამე წარმოდგენა, რის შემოსავლიც სრული საკმარისი იქნება, რომ გაახსნას წიგნი-საგაყ-სამეთხველი? მაგრამ სად? ვინ? განსამის მოთავე აქ იბოვება ვინმე?... კოვლი ამგვარი გრძობა ამ ინტელიგენციისა ან რაზე გადასულა, შეითხველი.

ჭირში ინტელიგენცია გუნდი გრძობებს, ჭკუ-ჭუნს. ჭურჭეში ხშირათ შეხვდებიან ჩიხოსან-ხანჯლისებს, რომელნიც ხელების შლით და დიდი მუსიათით დასიონ-ნიანქ დამებთან, სადაც კომუნისტ-არმიითაა ღუდს და გადადიან.

სხვათა შორის მოდამი ცხელით აქ შემოღებული ლატარეის და ზენიუების გამართვა, რაც ორ დღეში ერთხელ განადგობს ხოლმე. აქ ლატარეის და ზენიუების მართავენ მომეტეულები ქალები; ესენი იწყებენ ევრობიულ დამკურნალ-მედიკინებს და სადამოს 6 საათიან დამის 3—4 საათამდის ევრობიულ ტექნიკა-თამაშში ატარებენ დროს. ლატარეის და ზენიუებში ხელის მოწყობის ჩქარა შეგროვდებიან ხოლმე, უკანასკნელ გროში არ იშურებენ ამ მიზნისათვის; ამავე ხელის-მოწყობლებს რომ თხოვით ხელის-მოწერა რამე საქველ-მოქმედი მიზნით, დარინებით გეტყვიან; — შემოგაკვდა განს ფული, რომ ვითომდა სხვის დასახმარებლათ შენ გინდა იჯობო მანეთობა? და რას იზამ, რომ გუელ-დაწყვეტილი, მის წინაშე უსიტყვით ამ განგრდე ამ მასუსხე!..

ქ-ნ ნატალია ყორბესაშვილს, რომელიც განცხადებულებათ აჭურ ქალაქს ან ჩვენთვის საჭირო მიზანს სულთ და გუდით მიცემთა, განზრახული აქვს მოჭკობის ფული, რომ შეიძლოს საემსწავილო ჟურნალი ჟგვილიან გამოწერა სამრველო საკვლელოცო სკოლის მოწყობათთვის: სობორში, ოქთონა და სამკაში; ხალხს, ვისაც ვითხოვა ხელის მოწერა სიახე ამ კეთილმა ადამიანმა, ძალიან ნაკლებათ თანხურებთან, ასე რომ ეს შუორე თვეა და თავისი განზრახვა ვერ განახორციელა, ხუთი მანეთის მეტი ვერ შეატროვა, თუმცა შრომის დაუღალავათ. ვუსურვებ ქ-ნ ნატალია ყორბესაშვილს ამ კეთილ საქმეს ბოლო მიადგენოს და ხალხის გულ-ციობამ გული არ აუგროსო.


ხალხისაგან დავიწყებთ მიცემული გორი ღვთისა გან არ არის დავიწყებული. ამ ქვეყანის მოუფლანს დღერთმა ზატონისანი სული, დიდათ ზატოტეშული ბ-ნი ივანე აილახანია, რომელიც კარგახანის ცდილობს შეაკეთოს ციხე, გააშენოს შივ სასიერხო პალი, რომელიც განათავსებს ელექტრონის ფარებით; მანქანაც დიდი ხანა მოტანილია. ციხის შეკეთება და შივ ბაღის გაშენება საუცხოო ზღაპრე წინ მიდის.

ალ. ნალირაძე.

ს. სამოხეთა (ჭუთაისის მკზნა). კრიზისით, რომ იტყვიან, სწორეთ ის დავიდაცა ჩვენ სიმონეთლებს. ამის-

თანს ნაკლები მოსავალი, როგორც გასულ წელს; დღედი ხანია არ უთვლია ჩვენ სოფელში. გავსაძინებთ ნადგურა უნებო, მიუღია წლის სარჩო რომ მოსვლიდაც, იმისთანა მცნოვრები ძღვან ძნელათ მიათბევა. ღვინის იმედი გვეჭინდა და იხივ საუბრეერთ შედარებით ნაკლები იყო, რა უნდა ქქნას საგოდავმა დარბამ გლებში, მარტო ღვინის სახელმწიფო გარდასახვილი განსტუმრის, მუდგლანს დრამა, თუ ოჯახი დაამყოფილოს? რაც შეეხება სწავლა-განათლებას, — ჩვენი სოფელი ძღვან დაქვეითებულია. აკერ 18—20 წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ამ სოფელს ერთ-კლასიანი სემინისტრო სკოლა აქვს: რამდენჯერ მიანდომეს ამ სკოლის მასწავლებლებმა ამის ორ-კლასიანთ გადაკეთება, მაგრამ არან გზით არ მოხერხდა. უკვლა ამისი მიზეზები განვლანთ შემდეგი: ეს ზემოხსენებული სასწავლებელი ამოუფლება მდინარე ვერილის ნაბირზე. უმეტესი რიცხვი მცნოვრებისა ძღვიერ დაშორებულია, ასე რომ მოსწავლეს არ შეუძლიან (მც. სოფელ ძეურა) თავისი სახლიდან სკოლაში ააროს. ბავშვის ზატონის უსრულდება ემსწავილის შესახვა ქალაქებში. ან ახიტირ მოგვსაც ამ სკოლის მასწავლებლის თათსნობით ურთილბა მოხდებოდა, უმრავლესობას სულ ასე გაიძახოდნ: „არ გვინდა არა, არა! რომელიც არის იმას რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვისო“. ეს რისთვის? განს ჩვენ სიმონეთლებს არ ქსურთ სწავლა? არა სიმონეთლებს ძღვიერ ქსურთ დაზარდონ ემსწავილები, მაგრამ მათი უთანხმობის მიზეზი სასწავლებლის გაუმართებლობაზე, თუთ სასწავლებლისეკ სიმორვა. წელს ამ სკოლის მზრუნველათ საზოგადოებამ აითარიან მ. ანანოვა, ხალხანდელი ამ სკოლის მასწავლებელი. მოსწავლეები ძღვან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, სკოლის ფხნურები სულ დამტრეულია და ამას უურადლებას არავინ აქტევის; იმედა ბ. მ. ანანოვი შევა ამ ჩვენს დაზარა სკოლის მდგომარეობაში და მას დაუყენებს ნამდვილ ნიადაგზე.

მ. გ-იძე



ვეირიდან ვეირამდე

ვინც რა უნდა თქვას... — ნანატრი სასწავლებელი. — ვა, ვა, ვა... — ჩათველური გულუხვობა. — გურული ქალის საჩივარი.

ზასული კვირის ,,ვეირიდან ვეირამდე“ სასიერო ამბავი დავებართ! იმ საწყალს იმდენი მოხვდა ბეჭეტში, რომ მგონი რუსის ბარბანსაც არ მოხვედრია იმდენი. შინაური და გარეშე — ყველა ამის დაცხეია, წიწკნეს, წიწკნეს და ბოლოს გამოწიწნილ-გამოწიროლმა აიკიდა გულა-ნაბადი და მოპკურცხლა იქით, საითენაც ძალიან ბევრი მიდის, ხოლო უკან კი არავინ მოდის. ვითომ და რა გამოსაჩენი პირი ექნებოდა! მას არ უყვარს სიცო-

ცხლის თრევა, ან ვიყო და ან არაო — ამბობს ის და ამ მისი შეუპოვრობისთვის, მოგვკათ სიკოცხლე, ძალიან ბევრი გადაემტერა. ამას წინეთ „კვალის“ რედაქტორს შემდეგი წერილი მოსვლია (რომელიც მე შემთხვევით ხელში ჩავიგდე): „მ. ბ. ნება მომეცით ჩემი შთაბეჭდილება გადაგოცეთ „კვალის“ შესახებ. გძელი ლაპარაკით თავს არ შეგაწყნეთ, ჩემი სათხოვარი მხოლოდ ესაა: როცა „კვალი“ გამოიგზავნეთ, „კვირიდან კვირამდეს“ ნუ გამოაყოლებთ თან; იმედია ამისორულებით“. აი როგორ ემდურებიან მას! მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, „კვირიდან კვირამდე“ კი მიანც ფეჟავს და ფეჟავს...

* *

„ძმაო „კვირიდან კვირამდე“! შენ აგაშენა ღმერთმა, აკი მაშინვე შევიტყვე რა კაციც ყოფილა დიდათ ცნობილი ვ. წ—ლი! (მეშინია კიდევ არ გამოწყრეს!) ჩემ ორიოდ განაწერაზე მთელი ფელეტონი გამოაუცხვია და ვინ იცის რას არ არახუნებს. მართლაც მწერალი ყოფილა, თვარა იმსიხსოა წიგნს ასე უტბათ ვერ გააქრელება, შენ არ მომიკვდე, ამ წინაზე, ერთი ჩემი მესობელი უბრალო მოკითხვის წიგნს მოუწდა სამი დღე. „სნანს დიდი ვინმე უნდა იყოსო“, წერს ჩემზე. არა, არც ისე დიდი ვარ, შეიძლება „ვინაწილის“ სოფელში მართლა დიდი გამოვჩნდე, მარა ამ ჩვენ სოფელში კი პატარათ მთლიან. ახლა ერთი რამ მინტერესება და ვთხოვე ისიც გამოგვიოთ: სად არის გაზღილი ეს სახელოვანი მოღვაწე? ამას იმიტომ გკითხავთ, რომ მინდა გავიგო, სად იმყოფება იმ უშუალო ლანძღვა-იგნების კურსი, რომელიც „ჩემ მოპირდაპირეს“ გაუთავებია. ნეტავ ერთი იქ წამიყვანა და მეტი არაფერი მინდა. ისე ავუნგრევ-დავუნგრევ საბუღარს, რომ შეიარე ვერ გამოზარდოს, თვარა დღეობუბეთ კაცი, თუ კიდევ გაათავა ვინმე იგი „სასწავლებელი“, თავი მოგვექრება მთელ იმერეთს...“

იმერელი ახნაური

* *

